ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება
G E O R G I A
THE ORDER OF THE ASSEMBLY OF MESTIA MUNICIPALITY

განკარგულება:**g-135.135222444**
თარიღი:**01/09/2022**

მესტიის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული,ხაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის (ს/კ: 42.16.43.112), მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 42.16.43.817) გაცვლის შესახებ მესტიის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ.ზ“ პუნქტის, ამავე კოდექსის 122-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის, და სამოქალაქო კოდექსის 521-ე მუხლის და მოქალაქე ტატიანა ჭკადუას 2022 წლის 10 მაისის N19/1342213011-134 განცხადების საფუძველზე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1.მიეცეს თანხმობა მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას, მოახდინოს მესტიის მუნიციპალიტეტის ხაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 509 კვ.მ მიწის ნაკვეთის ს/კ: 42.16.43.112 გაცვლა, ამავე ტერიტორიულ ერთეულში მდებარე 600 კვ.მ მიწის ნაკვეთში ს/კ: 42.16.43.817.

2.მიღებული განკარგულება გადაეგზავნოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას.

3.განკარგულება ძალაში შევიდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში, (მის. ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. №12).

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი